# პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

CDD
განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

ცესკო

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

## პროექტის მიზანი და მიმართულება

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

## პროექტის განხორციელების არეალი:

შიდა ქართლის რეგიონი - გორი, ქარელი, კასპი, ხაშური;

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - მცხეთა, თიანეთი, დუშეთი, სტეფანწმინდა.

## პროექტის განხორციელების პერიოდი:

2016 წლის 1 ივნისი - 2016 წლის 1 სექტემბერი

# პროექტის ამოცანები და სამიზნე ჯგუფი

- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კვალიფიკაციების ამაღლება;
- შიდა პარტიული დემოკრატიის წახალისება;
- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება.

**I კატეგორიის სამიზნე ჯგუფი:** კანონმდებლობის შესაბამისად არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის უფლების მქონე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები;

**II კატეგორიის სამიზნე ჯგუფი:** თერთმეტი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიისა და ბოლო ოთხი წლის მანძილზე გამართულ ერთ-ერთ საერთო არჩევნებში მონაწილე არაუმეტეს ექვსი არაკვალიფიციური პარტიის წარმომადგენლები.

# პროექტში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ

(მათ შორის 10 კვალიფიციური და 5 არაკვალიფიციური)

- მპგ "ახალი მემარჯვენეები";
- მპგ "გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა";
- მპგ "ეროვნულ დემოკრატიული პარტია";
- მპგ "ევროპელი დემოკრატები";
- მპგ "ქართული დასი";
- მპგ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
- მპგ "ეროვნული ფორუმი"
- მპგ "თავისუფალი დემოკრატები"
- მპგ "თავისუფალი საქართველო"
- მპგ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
- მპგ "საქართველოს კონსერვატიული პარტია"
- მპგ "საქართველოს ლეიბორისტული პარტია"
- მპგ "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"
- მპგ "საქართველოს რესპუბლიკური პარტია"
- მპგ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

# მონაწილეთა ტრენინგები

**8 ტრენინგი - გუდაურში მდებარე სასტუმრო „ალპინა"**



- **20 – 23 ივლისი** - *გორის ჯგუფი;*
- **25 – 28 ივლისი** - *ქარელის ჯგუფი;*
- **30 ივლისი – 2 აგვისტო** - *კასპის ჯგუფი;*
- **4 – 7 აგვისტო** - *ხაშურის ჯგუფი;*
- **9 – 12 აგვისტო** - *თიანეთის ჯგუფი;*
- **14 – 17 აგვისტო** - *დუშეთის ჯგუფი;*
- **19 – 22 აგვისტო** - *მცხეთის ჯგუფი;*
- **24 – 27 აგვისტო** - *სტეფანწმინდის ჯგუფი.*











# ტრენინგის საკითხები

- არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილება და საარჩევნო ეთიკა;
- დაგეგმვა, გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ანგარიშვალდებულება;
- კონფლიქტების მართვა, საარჩევნო დავები, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა;
- წინასაარჩევნო კამპანია;
- ადმინისტრაციული რესურსები;
- საარჩევნო ციკლი და საკანონმდებლო სიახლეები;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა;
- კენჭისყრის დღის პროცედურები.

ტრენინგის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საკითხების მიმოხილვისა და უკეთ შესწავლისათვის ტარდებოდა ჯგუფური, როლური და სიტუაციური სავარჯიშოები, სადაც მონაწილეები წარმოადგენდნენ პრეზენტაციებს



















საკითხებს შორის შუალედში მონაწილეების მეტი ჩართულების უზრუნველსაყოფად ტარდებოდა წამახალისებელი გასართობ-შემეცნებითი თამაშობები (ენერჯაიზერი)



სულ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 15 პოლიტიკური გაერთიანების (მათ შორის 10 კვალიფიციური და 5 არაკვალიფიციური) 176-მა რეგიონულმა წარმომადგენელმა და აქტივისტმა, რომელთაგან 104 (59%) იყო ქალი, ხოლო 72 (41%) მამაკაცი.






# შემუშავებული მასალა

*პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა სატრენინგო-საინფორმაციო მასალები:*

**სტიკერი**




**სერთიფიკატი**




**ბანერი**



**დამხმარე სახელმძღვანელო**




**სამუშაო ბროშურა**




**შეფასების კითხვარები**






## ამონარიდები მონაწილეთა შეფასებებიდან

“ტრენინგის მანძილზე მოწოდებული ინფორმაციის უმეტესობა ჩემთვის ახალი იყო, რაც ცნობილი იყო ცოდნა გამიღრმავდა. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებლად გამომადგება”

“მივიღე უდიდესი გამოცდილება, ტრენინგის დაწყებისას ავღნიშნე, რომ ველოდი პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.”

“ჩემი მოლოდინი ორმაგად გამართლდა, საინტერესო სემინარები ჩატარდა. ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო ეთიკა, საარჩევნო ხარვეზები, დავები და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება”




## ამონარიდები მონაწილეთა შეფასებებიდან

*"მადლიერი ვარ პროექტის ორგანიზატორების მიმართ. მრავალი წლის მანძილზე უამრავ ტრენინგსა და კონფერენციას დავსწრებივარ და ვაღიარებ, რომ ეს საუკეთესო ტრენინგი იყო, უღრმესი მადლობა ტრენერებს;"*

*"მიუხედავად იმისა რომ ტრენინგები მიმდინარეობდა 8 საათი არ მომბეზრდა და არ ვიღლებოდი. ძალიან კარგი განწყობით ვბრუნდები უკან და დარწმუნებული ვარ ბევრ კარგ მოგონებას მოვყვები ჩემს ახლობლებს"*

*"ეს ტრენინგი იყო ერთერთი ყველაზე ნაყოფიერი ჩემს პრაქტიკაში, რისთვისაც დიდი მადლობას ვუხდი ტრენერებს. ათი საფეხურით გავიზარდე."*

*"ძალიან კარგია მსგავსი ტიპის ტრენინგები, მივიღე ამომწურავი ინფორმაცია ჩემთვის საინტერესო საკითხებზე, მადლობა ტრენერებს, ძალიან მომეწონა პრაქტიკული სავარჯიშოები რასაც აუცილებლად გამოვიყენებ."*




## ამონარიდები მონაწილეთა შეფასებებიდან

*„გავიღრმავე ცოდნა საარჩევნო და პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკასთან დაკავშირებით. გავეცანი არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს და ნათლად დავინახე თუ როგორ ურთიერთკავშირშია და ერთ ჯაჭვს წარმოადგენს საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეები"*

*„არჩევნებთან დაკავშირებით ვერავინ ვერაფერს ვერ გამომაპარებს, უფრო მეტად ორგანიზებული და მომზადებული ვიქნები ახლანდელ არჩევნებზე"*

*„სიახლე იყო ჩემთვის ყველა ის საკითხი და თემა რაც შევისწავლეთ ოთხი დღის განმავლობაში, რადგან ასეთი ტიპის ტრენინგზე არასოდეს მიმიღია მონაწილეობა, მოსმენილი საკითხები დამეხმარება აგრეთვე ყოველდღიურ საქმიანობაში"*

# შემაფერხებელი გარემოებები და გადაჭრის გზები

## პროექტის განხორციელების პერიოდი

უმჯობესია მსგავსი ტიპის (გრძელვადიანი) ტრენინგები ტარდებოდეს არასაარჩევნო პერიოდში, მონაწილეთა მეტი ჩართულობისა და ეფექტიანობისათვის.

## ადამიანური რესურსების სიმცირე

ეფექტიანი კომუნიკაცია, რესურსების მაქსიმალური მობილიზება და პროექტში მონაწილეობის ეფექტური კრიტერიუმების არსებობა მისაღებ და დამაკმაყო-ფილებელ ეფექტს იქონიებს პოლიტიკური გაერთიანებისთვის.

## დაბალი ინტერესი ტრენინგებისადმი

მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციას ქონდეს პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობის გამოცდილება და რაც მთავარია ნდობა, აგრეთვე მოქნილი ტრენინგის მეთოდოლოგია და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები.

სასურველია, როდესაც ერთი ქოლგის ქვეშ ხორციელდება რიგი პროექტები, დაიგეგმოს ერთიანი, ეფექტური პოპულარიზაციის პოლიტიკა, რათა მოხდეს ბენეფიციარების მაქსიმალურად დაინტერესება.

# პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

CDD
განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

ცესკო

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი